განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1) გაიზარდოს როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა. გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 7 აპრილის 2026 წლის N714 განკარგულებით 505 000 ლარით, შემდეგი სამუშაოებისათვის: სოფელ წედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოზე (ასფალტო-ბეტონის საფარი) II ეტაპი 205 000 ლარი; სოფელ გომის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოზე (ცემენტ-ბეტონის საფარი) IV ეტაპი 300 000 ლარი.

ბ. ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (სოფელ გლოლაში და შეუბანში არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაციის) საქართველოს მთავრობის 29 დეკემბერი 2025 წელი N2260-2 განკარგულებით 261 037 ლარით.

გ. ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის საქართველოს მთავრობის 29 დეკემბერი 2025 წელი N2260-1 განკარგულებით 17 851 ლარით.

2) მოხდეს ცვლილება სხვა შემოსავლეში, კერძოდ: შემცირდეს ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 20 000 ლარით და აღნიშნული თანხით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებელი.

3) დაკონტრაქტებული სამუშაოდან დარჩენილი ეკონომიით, შემცირდეს შემდეგი სამუშოები:

- სოფელ უწერაში ადმინისტრაციული შონობის ეზოს შემოღობვა 5 000 ლარით;
- სოფელ სევაში (ნონა თათარაძის საკარმიდამომდე) საუბნო გზის რეაბილიტაცია 2849 ლარით;
- სოფელ ლაჩთაში (თამარ შუკვანის სახლთან) საუბნო გზის რეაბილიტაცია 5 201 ლარით.
- ქ. ონში ტაბიძის ქუჩაზე გარე წყალარინების ქსელის მოწყობა 10 143 ლარით;
- ლებანიძის ქუჩისა და მოედნის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე სანიაღრე არხის მოწყობა 8 331 ლარით;
- სოფელ ზუდალში შიდა გზის რეაბილიტაცია 2 999 ლარით;
- სოფელ ქვედში დავითიანთ უბანში საუბნო გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა 2 287 ლარით;
- სოფელ ქვედში ირაკლი მაისურაძის სახლთან დამცავი კედლის მოწყობა 1 281 ლარით;
- სოფელ ფარახეთში სულაძეების უბანში საყრდენი კედლის მოწყობა 1 893 ლარით;
- მერიის ადმინისტრაციულ შენობაში დაცვის ოთახის რემონტი 708 ლარით;
- შეუბნის ადმინისტრაციულ შენობაზე დრენაჟის მოწყობა 2 077 ლარით;

- შემცირდეს წილობრივი თანხა სოფელ წოლის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების 2 212 ლარით. სულ 44 981 ლარი დაიგეგმოს შემდეგი სამუშაოებისათვის:
  - წილობრივი მონაწილეობისათვის სოფელ წედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის (ასფალტო-ბეტონის საფარი) II ეტაპი 10 250 ლარი;
  - სოფელ გომის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაო (ცემენტ-ბეტონის საფარი) IV ეტაპი 15 000 ლარი;
  - სოფელ ღარში მოსაცდელი შენობის მოწყობის სამუშაოებისათვის 15 031 ლარი;
  - წარმატებული სპორტსმენების დახმარებისათვის 4 700 ლარი.

4) ამოღებული იქნას ა(ა)იპ ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლის ბიუჯეტიდან ზურა ბაკურაძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი „უნისონი"ს ღონისძიება, თანხით 35 000 ლარი და დაიგეგმოს მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებში.

5) გადატანილი იქნას:

- საკრებულოს საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის შეძენის ხარჯიდან 158 ლარი და გაიზადოს კარტრიჯების შეძენის ხარჯი.
- ასევე გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შქმერის, ჭიორის, ფარახეთის, გლოლის, ღების, სორის, წედისის, მრავალძალის, ბარისა და ცხმორის მისასვლელი და შიდა გზების თოვლისა და მეწყრისაგან წმენდაზე 11 970 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 23 091 222 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი